MENTAL HEALTH SERVICES DEVELOPMENT FUND

ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარების ფონდი

საქართველოს შრომის,ჯანმრთელობის და სოციალური

დაცვის მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

გაცნობებთ, რომ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითრების ფონდი" წარმოადგენს კერძო კაპიტალით შექმნილ კომპანიას რომლის ძირითადი მიზანია კერძო კაპიტალის დახმარებით საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის და წამალთდამოკიდებულების სფეროს სერვისების განვითარება, მომსახურების ხარისხის ამაღლება, ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების ოპერირება.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სისტემური და ინფრასტრუქტურული რეაბილიტაციის პროექტი, გულისხმობს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკოლოგიის პროფილის მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური პრობლემების, აგრეთვე სისტემის მართვის და სამედიცინო მომსახურების ხარისხის ნაკლოვანებების მოგვარებას პრივატიზაციის გზით, კერძო ინვესტიციების საშუალებით.

პროექტის მიზანია არსებული ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური სტაციონარული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ჰოსპიტალური და ჰოსპიტალგარე სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და მონიტორინგის მექანიზმების შექმნა, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება დახურული ტიპის დაწესებულებებში, ახალი მომსახურებების განვითარება, ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება და დარგის პოპულარიზაცია.

პროექტის სრულყოფა იგეგმება ექვსი წლის ვადაში, კერძოდ 2020-2025 წლებში. ამ პერიოდში, განხორციელდება ინვესტიციები შენობების დაგეგმარების, რეაბილიტაციის, აღჭურვის, გარე ტერიტორიის მოწყობის, კადრების გადამზადების დასაფინანსებლად. ექვსი წლის განმავლობაში განსახორციელებელი ინვესტიციის ჯამური მოცულობა 25 000 000 (ოცდახუთი მილიონ) ლარს შეადგენს.

ცენტრალიზებული მართვის პირობებში განხორციელდება სტაციონარული თუ ამბულატორიული სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა მომსახურებების მოდერნიზებისა და ახალი მომსახურებების შექმნის საფუძველზე. პროექტი უზრუნველყოფს რეგიონში სერვისების უწყვეტ მიწოდებას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში
ბრალი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქმეთა სამინისტრო
15 05
030135631286019
92145
28 06 19
6

სტანდარტულად განხორციელდება დაწესებულებებზე ზედამხედველობის, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და საქმიანობის მონიტორინგი, მოხდება კოლეგიალური სუპერვიზიის მექანიზმის შექმნა და დანერგვა.

პროექტის ფარგლებში იგეგმება სამედიცინო მენეჯმენტის დარგში ხარისხის მართვის სერთიფიკატის, კერძოდ კი ISO 9001-ის მიღება. აღნიშნულის სრულყოფას უზრუნველყოფს სპეციალური საკონსულტაციო საბჭო, რომელიც გააერთიანებს საზოგადოების წევრებს, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, პროფესიულ ასოციაციებსა და საერთაშორისო ექსპერტებს, რომლებიც შესაბამისი კომპეტენციების საფუძველზე განახორციელებენ საინვესტიციო პროექტის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს, მოახდენენ იმპლემენტაციის ოპტიმალური გზებისა და პროექტის შემდგომი განვითარება-მართვის მეთოდების შემუშავებას.

2025 წელს, პროექტის დასრულების შემდეგ, სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რეაბილიტირებული იქნება პროფილური სამედიცინო დაწესებულებების, სტაციონარული და ამბულატორიული საქმიანობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად.

პროექტის დეტალური აღწერა იხილეთ დანართში *„ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სისტემური და ინფრასტრუქტურული რეაბილიტაციის პროექტი“.*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ დაინტერესებული ვართ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული **1.** შპს „ ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“; (თბილისი, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. **63); 2.** შპს „ რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი (რუსთავი წმინდა ნინოს ქ. **5); 3.** შპს „ალ. ქაჯაიას სახელობის სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო“ (ხაშური, სურამი, რუსიასქ. **12); 4.** შპს „ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფო“ (წალკისრ-ნი, ბედიანის დასახლება); **5.** შპს "ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი" (ქუთაისი, ჩხობაძის ქ. **N20); 6.** შპს „ნარკოლოგიური ცენტრი“ (საქართველო, ხელვაჩაურისრ-ნი, დაბა ხელვაჩაური, ხახულის **2); 7.** შპს "სენაკის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი" (ქ. სენაკი, ფურცელაძის ქ. N8); **8.** შპს "თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი" (თელავი, რუსთაველის ქ. **N11** ალადაშვილის ქ.2) **9.** შპს „თელავის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“ (თელავი, ალადაშვილის ქ. **2); 10.** შპს „ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“ (ქუთაისი, ბარათაშვილისქ. **101); 11.** შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ ქ.თბილისი. ქავთარაძის ჩიხი **4;** 100%-იანი წილების შეძენით პირდაპირი მიყიდვის ფორმით 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარად. აღნიშნულ ღირებულებაში ასევე გათვალისწინებულია პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქვემოთჩამოთვლილი უძრავი ქონების გადმოცემა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარების ფონდის „ საკუთრებაში.

გამოვთქვამთ მზადყოფნას, შემდეგი შპს -ების და უმრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შემთხვევაში. ვუზრუნველყოთ შემდეგი საპრივატიზაციო პირობების შესრულება:

1. საპრივატიზაციო ღირებულების 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) კვირის ვადაში.
2. ზემოთხსენებული საზოგადოებების არსებული სამედიცინო პროფილით ფუნქციონირების შენარჩუნება ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 წლის ვადით, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი სამედიცინო მომსახურებების იმპლემენტაცია ან რეგიონის დონეზე მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუარესების გარეშე ალტერნატიული სერვისებით ჩანაცვლება.
3. ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის ზემოთხსენებული საზოგადოებების ქონების ბაზაზე მოფუნქციონირე საერთო საწოლთფონდის შენარჩუნება 6 წლის ვადით. საჭიროების შემთხვევაში გეოგრაფიული პრინციპისა და ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების გათვალისწინებით გადანაწილების ოპტიმიზაცია.

აგრეთვე ვუზრუნველყოფთ **პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით** 6 წლის განმავლობაში 2020 წლიდან დან 2025 წლის ბოლომდე არანაკლებ 25 000 000 (ოცდახუთი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელებას ქვემოთმოყვანილი საინვესტიციო ვალდებულების შესასრულებლად.

1. შპს „ ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი"; (თბილისი, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. 63);

დაწესებულების საწოლთფონდის შესაბამისი ინფრასტრუქტურის კაპიტალური რეაბილიტაცია სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო და სანებართვო პირობების მოთხოვნათა შესაბამისად. ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის მომსახურების დანერგვა (10 დღის საწოლი) ქ. თბილისის მასშტაბით აღნიშნული ტიპის სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის.

2. შპს „ რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი (რუსთავი წმინდა ნინოს ქ. 5);

რეგიონში დეფიციტური ნარკოლოგიური ამბულატორიული სერვისის შექმნა. დღის ცენტრის ტიპის (ჩანაცვლებითი თერაპია , დღის სტაციონარი, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრი).

3. შპს „ალ. ქაჯაიას სახელობის სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო" (ხაშური, სურამი, რუსიას ქ. 12);

დაწესებულების საწოლთფონდის შესაბამისი ინფრასტრუქტურის კაპიტალური რეაბილიტაცია სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო და სანებართვო პირობების მოთხოვნათა შესაბამისად, გაძლიერებული ფსიქისოციალური რეაბილიტაციის კომპონენტის ინტეგრაცია.

4. შპს „ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფო" (წალკის რ-ნი, ბედიანის დასახლება);

დაწესებულების საწოლთფონდის შესაბამისი ინფრასტრუქტურის კაპიტალური რეაბილიტაცია სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო და სანებართვო პირობების მოთხოვნათა შესაბამისად. გაძლიერებული ფსიქისოციალური რეაბილიტაციის კომპონენტის ინტეგრაცია.

5. შპს "ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი" (ქუთაისი, ჩხობაძის ქ. N20);

ბავშვთა ფსიქიატრიული სტაციონარული სერვისის შექმნა 15 საწოლი და არსებული ამბულატორიული და სათემო სერვისების გაძლიერება.

6. შპს „ნარკოლოგიური ცენტრი" (საქართველო, ხელვაჩაურის რ-ნი, დაბა ხელვაჩაური, ხახულის 2);

დაწესებულების საწოლთფონდის შესაბამისი ინფრასტრუქტურის კაპიტალური რეაბილიტაცია სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო და სანებართვო პირობების მოთხოვნათა შესაბამისად. ამბულატორიული სერვისების გაუმჯობესება. არსებული ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისის გაფართოება და სახელმწიფო პროგრამის ინტეგრაცია. ამბულატორიული მომსახურების დღის ცენტრის ტიპის მულტიდისციპლინური სერვისით ჩანაცვლება (ჩანაცვლებითი თერაპია , დღის სტაციონარი, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრი).

7. შპს "სენაკის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერი" (ქ. სენაკი, ფურცელაძის ქ. N8);

არსებული ფსიქიატრიული სტაციონარული სერვისის გაფართოება 20-დან 30 საწოლამდე. ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის სერვისის შექმნა (5 დღის საწოლი) და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისის გაძლიერება.

ვალდებულების შესასრულებლად შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარების ფონდს„ საკუთრებაში გადმოეცემა საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა.

8. შპს "თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი" (თელავი, რუსთაველის ქ. N11 ალადაშვილის 2)

ფსიქიატრიული სტაციონარული სერვისის შექმნა 20-დან 30 საწოლამდე. ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის სერვისის შექმნა (5 დღის საწოლი) და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისის გაძლიერება.

ვალდებულების შესასრულებლად შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარების ფონდს„ საკუთრებაში გადმოეცემა საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა.

9. შპს „თელავის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი" (თელავი, ალადაშვილის ქ. 2);

დაწესებულების ინფრასტრუქტურის კაპიტალური რეაბილიტაცია სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო და სანებართვო პირობების მოთხოვნათა შესაბამისად.

დამატებით რეგიონში დეფიციტური ნარკოლოგიური სტაციონარული სერვისის შექმნა (4 საწოლი) და არსებული ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისის დღის ცენტრის ტიპის მულტიდისციპლინური სერვისით ჩანაცვლება (ჩანაცვლებითი თერაპია , დღის სტაციონარი, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრი).

აღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელი დამატებითი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადმოცემა, შესაძლებელია იმავე მისამართზე ან/და ალტერნატიული დამოუკიდებელი შენობა ფართით არანაკლებ 1500 კვმ შესამამისი მიწის ნაკვეთით და ეზოთი.

10. შპს „ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი" (ქუთაისი, ბარათაშვილის ქ. 101);

11. შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" ქ.თბილისი. ქავთარაძის ჩიხი 4;

დაწესებულების ინფრასტრუქტურის კაპიტალური რეაბილიტაცია სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო და სანებართვო პირობების მოთხოვნათა შესაბამისად.

რეგიონში დეფიციტური ნარკოლოგიური სტაციონარული სერვისის შექმნა (5 საწოლი) და არსებული ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისის დღის ცენტრის ტიპის მულტიდისციპლინური სერვისით ჩანაცვლება (ჩანაცვლებითი თერაპია , დღის სტაციონარი, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრი).

აღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელი დამატებითი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადმოცემა, შესაძლებელია იმავე მისამართზე არსებული ყოფილი ფსიქონევროლოგიური დისპანსერის შენობა ან/და ალტერნატიული დამოუკიდებელი შენობა ფართით არანაკლებ 1500 კვმ შესაბამისი მიწის ნაკვეთით და ეზოთი.

საპრივატიზაციო ხელშეკრულებით გადმოცემული ქონების ბაზაზე , სამცხე ჯავახეთის რეგიონში სერვისების უკეთესი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ფსიქიატრიული ამბულატორიული მეთვალყურეობის კომპონენტის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა, ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის ცენტრის (5 დღის საწოლი) და ნარკოლოგიური ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების შექმნა, (ჩანაცვლებითი თერაპია , დღის სტაციონარი, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრი, სტაციონარი 5 საწოლზე).

მოძიებულ იქნას დამატებითი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და სამედიცინო დაწესებულების საჭიროებებზე მორგებული უძრავი ქონება. მაგ. ბორჯომში შენობა ნაგებობა საერთო ფართით არანაკლებ 3000კვ.მ. მიწის ნაკვეთით.

"ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარების ფონდი" იმედოვნებს, რომ სახელმწიფოს თანადგომითა და თანამონაწილეობით მოხდება "ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სისტემური და ინფრასტრუქტურული რეაბილიტაციის პროექტი"-ს განხორციელება, შედეგად ცენტრალიზებული მართვის პირობებში მოხდება სტაციონარული თუ ამბულატორიული სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა დაწესებულებებში, მათი სერვისების მოდერნიზებით ან/და ახალი დაწესებულებების შექმნის საშუალებით. განხორციელდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეაბილიტაცია და განახლება, არსებული სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება. პროექტით განისაზღვრება ვალდებულება რეგიონებში არსებული სერვისების გრძელვადიან განხორციელებაზე, მათ შორის, არსებულის ალტერნატიულით ჩანაცვლების გზით. აღნიშნული პროექტის განხორციელებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება დარგში წლების მანძილზე არსებული და მოუგვარებელი პრობლემები, გაუმჯობესდება დახურული ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა და სამედიცინო მომსახურების ხარისხი.

ვინაიდან პროექტი ორიენტირებულია გრძელვადიან ხედვაზე და არ შემოიფარგლება რამდენიმეწლიანი გეგმებით, ის სარგებლის მომტანი იქნება როგორც უშუალოდ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკოდამოკიდებულების მკურნალობის სფეროსთვის, ასევე საზოგადოებისათვის.

ფონდი ნათლად და მკაფიოდ ხედავს პროექტის წარმატებას და მისი ზრდისა და განვითარების უაღრესად დადებით ეფექტებს, რაც საქართველოს წინსვლისა და საერთაშორისო ასპარეზზე დაწინაურების წინაპირობაა.

პატივისცემით "ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების განვითარების ფონდი" -ის დირექტორი სალომე ყვავილაშვილი